საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-1113

20/11/2019

ქ. თბილისი

**შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ალტერნატიულ საწვავად საბურავების, ნარჩენი ზეთების და პლასტმასის ნარჩენების გამოყენება) (ნარჩენების აღდგენა) პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, კასპის მუნიციპალიტეტში შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ალტერნატიულ საწვავად საბურავების, ნარჩენი ზეთების და პლასტმასის ნარჩენების გამოყენება) (ნარჩენების აღდგენა) პროექტზე სკოპინგის დასკვნა №114 (14.11.2019);
2. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ" სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №114 (14.11.2019) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

ლევან დავითაშვილი

მინისტრი